ხელშეკრულება N 28
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

მცხეთა 26 აგვისტო, 2014 წელი

ერთი მხრივ, ი/მ გივი სუხიტაშვილი (ს/კ 14001022632) (შემდგომში "მიმწოდებელი") და
მეორე მხრივ, შპს "მცხეთის სოფწყალი" (ს.კ. 436034104) წარმოდგენილი მისი დირექტორის ემზარ ნებიერიძის სახით (შემდგომში "შემსყიდველი"),
„გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და საქართველოს კანონმდებლობით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგი პირობებით:

1. ტერმინთა განმარტებები

1.1. ხელშეკრულება - წინამდებარე ხელშეკრულების ყველა მუხლი, პუნქტი და ქვეპუნქტი.

1.2. მხარე - მიმწოდებელი ან შემსყიდველი კონტექსტის შესაბამისად.

1.3. მხარეები - მიმწოდებელი და შემსყიდველი ერთდროულად.

1.4. ქონება/მომსახურება - დანადგარები მექანიკური ენერგიის წარმოებისა და გამოყენებისათვის (CPV42100000), რომლის დაზუსტება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის ან/და სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.

1.5. ხელშეკრულების ფასი - შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის მიწოდებული ქონების სანაცვლოდ გადასახდელი თანხა.

1.6. ხელშეკრულებაში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული მნიშნელობა.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას უზრუნველყოს შემსყიდველისათვის ქონების მიწოდება, ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას, გადაუხადოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი.

2.2. ქონების მიწოდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდისთვის შეიძლება განხორციელდეს რამდენიმე ეტაპად, ყოველ ჯერზე ქონების რაოდენობა, ხარისხი და მოცულობა დამოკიდებულია შემსყიდველის მოთხოვნაზე.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

3.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და ძალაშია 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3.2. ხელშეკრულება არ ექვემდებარება ავტომატურ პროლონგაციას.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

4.1.1. გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ქონება და მასთან დაკავშირებული ყველა საბუთის ორიგინალი ან სათანადო წესით დამოწმებული ასლი;

4.1.2. ქონების გადაცემამდე უზრუნველყოს მისი შეთანხმებული პირობების შენარჩუნება;

4.1.3. ქონების შემსყიდველისთვის მიწოდებამდე მიმწოდებელს ეკისრება მისი დაზიანების ან/და განადგურების, მათ შორის შემთხვევითი დაღუპვის რისკი. საკუთრების უფლება მიმწოდებლიდან მყიდველზე გადადის მისი მიწოდების მომენტიდან.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

4.2.1. მიიღოს მიმწოდებლისგან ქონება და ქონებასთან დაკავშირებული ყველა საბუთი ამ ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში და წესით;

4.2.2. ხელშეკრულების ფასი გადაიხადოს ამ ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში და წესით;

4.3. მხარეები ვალდებულნი არიან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა დებულება შეასრულონ კეთილსინდისიერად და ჯეროვნად.

5. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

5.1. ხელშეკრულების საორიენტაციო/სავარაუდო ფასი შეადგენს 4 000 (ოთხი ათასი ლარი და 0 თეთრი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახდის ჩათვლით.

5.2. ხელშეკრულების ფასს შემსყიდველი მიმწოდებელს გადაუხდის ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში.

5.3. მიღება-ჩაბარების აქტი უნდა გაფორმდეს ქონების მიწოდებიდან 1(ერთი) კალენდარული დღის ვადაში, გაუფორმებლობის შემთხვევაში ქონება ჩაითვლება მიწოდებულად და შემსყიდველი ვალდებულია ხელშეკრულების ფასის ანგარიშსწორება მოახდინოს ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2. პუნქტის შესაბამისად.

5.4. გადახდა ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორების გზით, მხარეთა მიერ ხელშეკრულების მე-9 მუხლში მითითებული რეკვიზიტების შესაბამისად.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა და ფორსმაჟორი

6.1. მხარეები ვალდებულებას კისრულობენ, აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი. ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა დასაბუთებული უნდა იყოს შესაბამისი დოკუმენტაციით, რაც დაადასტურებს მეორე მხარის ბრალეული ქმედებით ასეთი ზარალის გამოწვევის მიზეზს.

6.2. თითოეული მხარე ვალდებულია დაკისრებული ვალდებულება შეასრულოს დადგენილი წესით, შეთანხმების ფარგლებში ამასთან, თითოეულმა მათგანმა ხელი უნდა შეუწყოს მეორე მხარეს ვალდებულების შესრულებაში. მხარე, რომელიც არღვევს ნაკისრ ვალდებულებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ უზრუნველყოს მისი აღმოფხვრა.

6.3. მიმწოდებელს პასუხისმგებლობა ეკისრება მყიდველისათვის მიწოდებული ინფორმაციის სისწორეზე, გადაცემული დოკუმენტების ნამდვილობაზე, სისწორესა და სისრულეზე.

6.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ფასის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,1 % ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

6.5. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან ფორსმაჟორული გარემოებების წარმოშობის შემთხვევაში.

7. რეკლამაციები/პრეტენზიები

7.1. ქონებაზე გარეგნულად შესამჩნევი დეფექტების, დაზიანებისა და დანაკარგების თაობაზე პრეტენზიები მიმწოდებელს წარედგინება დაუყოვნებლივ ქონების მიღებისას არაუგვიანეს 72 საათისა ქონების შემსყიდველისთვის მიწოდების მომენტიდან.

7.2. ისეთი დეფექტების, დანაკარგებისა და დაზიანებების თაობაზე, რომელთა შემჩნევაც შეუძლებელია გარეგანი დათვალიერების შედეგად ქონების მიღების მომენტში, პრეტენზიების წარედგენის ვადა შეადგენს 20 (ოც) სამუშაო დღეს.

7.3. პრეტენზია შეიძლება ჩამოყალიბდეს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით და მასში ზუსტად უნდა იყოს მითითებული პრეტენზიის საფუძველი ან/და ის გარემოებები, რომლებიც ადასტურებენ მხარის მოთხოვნას.

7.4. პრეტენზია ჩაბარებულად ჩაითვლება თუ ის გადაეცა მხარეთა უფლებამოსილ წარმომადგენლებს, ასევე მხარეთა თანამშრომლებს/დასაქმებულებს, რომლებიც წინამდებარე ხელშეკრულებით

გათვალისწინებული ვადლდებულებების შესრულებისას უშუალოდ წარმოადგენენ თითოეულ მხარეს და მოქმედებენ მათი სახელით.

7.5. თუ პრეტენზიის წარდგენის მომენტიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში პასუხი არ იქნება მიღებული პრეტენზია ჩაითვლება აქცეპტირებულად.

8. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

8.1. ხელშეკრულება იდება ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) იდენტურ ეგზემპლარად. აქედან, თითო ეგზემპლარი გადაეცემა თითო მხარეს.

8.2. მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები, რომლებიც წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

8.3. მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში იგი უნდა გადაწყდეს უშუალოდ ურთიერთშეთანხმების გზით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების დაცვით.

8.4. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად - საერთო სასამართლოს მეშვეობით.

8.5. საკითხები რომლებიც არ არის განსაზღვრული ხელშეკრულებით გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობით.

8.6. მხარეები ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებენ, რომ ეს ხელშეკრულება არ მოიცავს ბუნდოვან დებულებებს და რომ ისინი სრულად გაეცნენ და მიიღეს მასში აღნიშნული პირობები.

9. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა

<u>შემსყიდველი</u>	<u>მიმწოდებელი</u>
შპს მცხეთის სოფწყალი	ი/მ გივი სუხიტაშვილი
დირექტორი: ემზარი ნებიერიძე	დირექტორი: გივი სუხიტაშვილი
მისამართი: მცხეთა, აღმაშენებლის N 73	მისამართი: დედოფლისწყარო, სოფელი ოზაანი
ტელ.: 2 513588	ტელ.: 599 53 80 36
საიდენტიფიკაციო კოდი: 436034104	საიდენტიფიკაციო კოდი: 14001022632
ბანკი: სს ლიბერთი ბანკი	ბანკი: სს ბანკი რესპუბლიკა
ანგარიშის ნომერი: GE78LB0113162465564000	ანგარიშის ნომერი: GE55BR0000010531471983
ბანკის კოდი: LBRTGE22	ბანკის კოდი: 14001022632
ბ.ა.	ბ.ა